Проявленные в молодости безалаберность и лень, в конце концов, приводят к отрицательным результатам.

Дидактические взгляды Давида Гурамишвили являются принципами, которыми должна руководствоваться педагогическая наука, они имеют великую теоретическую и практическую ценность.

დავით მალაზონია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თამარ ფხალაძე
თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი

ახალი მასალის გადაცემის სტრატეგიები ისტორიის გაკვეთილზე

ახალ „ეროვნულ სასწავლო გეგმას" საფუძვლად უდევს ხუთი ძირითადი მეთოდური მოთხოვნა (ორიენტირი). თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ხარისხიანი და ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ეს მეთოდიკური მოთხოვნებია: მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა; სწავლა - სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; გაღრმავებული სწავლება; მოსწავლის მოტივაციის გაზრდა; დისციპლინა და მოსწავლეთა ჩართულობა.

ჩამოთვლილთაგან ჩვენ შევეხებით იმ მეთოდიკურ მოთხოვნებს, რომლებიც „ეროვნული სასწავლო გეგმის" ძირითად სიახლეებად შეიძლება ჩაითვალოს. მხედველობაში გვაქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, რაც თავისთავად განაპირობებს მოსწავლის აქტიურობას, ე.ი. ჩართულობას მთელ საგაკვეთილო პროცესში.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა თავისთავად გულისხმობს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. „ეროვნული სასწავლო გეგმის" შემდგენელთა განმარტებით: „ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს... სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს... თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში... "(1, 25-26).

ცხადია, ამ მოთხოვნების განხორციელება ურთულესი ამოცანაა. ეს, სულ მცირე, გაკვეთილის ახლებურ დაგეგმვას მოითხოვს. პირველ რიგში, რადიკალურად იცვლება სტანდარტული გაკვეთილის სტრუქტურა და, შესაბამისად, მოსწავლისა და მასწავლებლის როლების ტრადიციული განაწილება. თუ ტრადიციული (უფრო სწორად საბჭოთა სკოლისათვის დამახასიათებელი) გაკვეთილის ცენტრში მასწავლებელი იდგა, ახლა როლები მნიშვნელოვნად იცვლება და სასწავლო (საგაკვეთილო) პროცესი ძირითადად მოსწავლის აქტიურობაზე, მის ჩართულობაზეა ორიენტირებული.

ოპონენტები მუითითებენ, რომ სწავლების ე.წ. „ტრადიციული მიდგომაც" განაპირობებდა მოსწავლეთა ჩართულობას, მათ აქტიურობას გაკვეთილზე. ჩვენ მთლიანად არ

უარვყოფთ ამას, თუმცა, მიგვაჩნია, რომ „ტრადიციული გაკვეთილი“ მხოლოდ მაღალკვალიფიციური, შემოქმედი და ინიციატივიანი პედაგოგის ხელში ქმნიდა ასეთ შესაძლებლობას, ისიც გამონაკლისების სახით. ამის მთავარი მიზეზი კი იყო და ნაწილობრივ დღესაც რჩება, ის გარემოება, რომ ახალი მასალის (პარაგრაფის, თემის, საკითხის...) მიწოდების ძირითად (უალტერნატივო) მეთოდად ახსნა ითვლებოდა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ გავეცნოთ სტანდარტული (ტრადიციული) გაკვეთილის სტრუქტურას. გაკვეთილის პირველი ნაწილი, საგაკვეთილო დროის დაახლოებით 30–40 % მოსწავლეთა გამოკითხვაზე მოდის; ახალი მასალის ახსნას დაახლოებით 40–50% ეთმობა, ხოლო ახსნილი მასალის განმტკიცებას 10–20 %.

შეიძლება თუ არა საგაკვეთილო დროის ასეთი განაწილებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მივიღოთ? ჩვენი აზრით, არა. რადგან:

ა) გაკვეთილის ძირითად ნაწილში – ახალი მასალის ახსნისას – მოსწავლე პასიურია, ის მხოლოდ ისმენს მასწავლებლის ნათქვამს.

ბ) “გამოკითხვის” ნაწილშიც, რეალურად აქტიურია არა მთელი კლასი, არამედ მისი მცირე ნაწილი (სტანდარტულად 4–7 მოსწავლე); მოსწავლეების ძირითადი ნაწილი კი, როგორც წესი, თანაკლასელის თხრობას ნაკლებად უგდებს ყურს. ელოდება საკუთარ რიგს და ზოგჯერ, გაკვეთილზე მოუმზადებელიც მიდის – ის ხომ წინა მეცადინეობისას უკვე გაიძახეს და ნაკლებ სავარაუდოა დღესაც გამოჰკითხონ ახალი მასალა.

გ) გაკვეთილის დასკვნით ნაწილში (განმტკიცება) აქტიურად ჩაბმულია მოსწავლეთა შედარებით მეტი რაოდენობა, თუმცა, ეს აქტიურობა, თავისი დატვირთვით, არ არის პირველხარისხოვანი (გამოკითხვასთან შედარებით).

გარდა ამისა, „ტრადიციული გაკვეთილის“ მთავარ პრობლემას ქმნის ახალი მასალის ახსნის – ანუ პრობლემებისა და ძირითადი იდეების მოსწავლეებისათვის მზამზარეულად მიწოდების პრაქტიკა, როდესაც მოსწავლეები ჩართული არ არიან გაკვეთილის ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტში, ისინი არ მონაწილეობენ ახალი საკითხების დამუშავების, მათთვის ახალი ცოდნის შექმნის პროცესში.

ასეთ შემთხვევაში იქმნება სტანდარტული ვითარება:

ა) მასწავლებელი ხსნის მასალას, რომელიც სახელმძღვანელოში წერია (რა თქმა უნდა, გარკვეული კორექტირებით, ჩაღრმავებით, ზოგჯერ დამატებითი და საინტერესო ინფორმაციის მიწოდებით);

ბ) მოსწავლე სახელმძღვანელოდან სწავლობს იმას, რაც გაკვეთილზე მოისმინა;

დ) მოსწავლე მომდევნო გაკვეთილზე ყვება იმას, რაც მასწავლებელმა აუხსნა და რაც სახელმძღვანელოში წაიკითხა.

ალბათ სადავო არ იქნება დასკვნა, რომ ასეთ სტანდარტულ ვითარებაში, გაკვეთილის წარმმართველი მასწავლებელია, ხოლო მოსწავლეებს თითქოს დამხმარე, მეორეხარისხოვანი როლი აკისრიათ. მათი მოვალეობა მხოლოდ პედაგოგისა და სახელმძღვანელოს მიერ მიწოდებული ცოდნის დასწავლაა და არა ახალი ცოდნის შექმნის პროცესში (საგანმანათლებლო პროცესის უმთავრესი მხარე) მონაწილეობა.

მაშ ასე, „ტრადიციული გაკვეთილის“ ძირითად ხარვეზად ჩვენ მოსწავლეთა პასიურობა წარმოგვიდგენია, რასაც მასწავლებლის მიერ ახალი მასალის ახსნა განაპირობებს. ახსნით გაკვეთილს სხვა ნაკლოვანებებიც აქვს. პირველ რიგში ის, რომ მოსწავლეებს მზამზარეულად მიეწოდებათ (განემარტებათ) ახალ საკითხთან (ცოდნასთან) დაკავშირებული: ძირითადი პრობლემა (პრობლემები), მისი გადაჭრის გზები, მოვლენათა მსვლელობა და მათი განვითარების ტენდენციები/ პერსპექტივები, წინასწარ შემუშავებული შეფასებები და დამოკიდებულებები.

ახსნითი გაკვეთილის ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენს მოსწავლეების აქტიური ჩართვა უშუალოდ ახალ მასალაზე მუშაობის პროცესში. როგორ მოვახერხოთ ეს? პრობლემა საკმაოდ რთულად დასაძლევია, რადგან ასეთი მიდგომა მოითხოვს:

ა) მასწავლებლის მაღალ კვალიფიკაციას (სწავლების აქტიური, პროდუქტიული მეთოდების ფლობას);

ბ) გაკვეთილის ზუსტ დაგეგმვას და დროის ეფექტურ განაწილებას;

გ) მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას (რათა მათ მსმენელების როლის მაგიერ ახალი – ცოდნის “შემქმნელების” როლი გაითავისონ) და აქტიურობას;

დ) შეგნებულ დისციპლინას;

ე) განსხვავებული კონცეფციით შედგენილ სახელმძღვანელოებს.

შენიშვნა: ძველ სახელმძღვანელოებში ახალი მასალა ნარატივის (თხრობის) სახით მიეწოდებოდა მოსწავლეებს. ავტორები აცნობდნენ მათ კონკრეტული ისტორიული პროცესის მსვლელობას, მოვლენის გამომწვევ მიზეზებს და აწვდიდნენ საკუთარ შეფასებებს. ასეთი პრინციპით შედგენილი სახელმწძღვანელო ვერ უზრუნველყოფდა აქტიურ სასწავლო გარემოს. თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით კი სახელმძღვანელო ხელს უნდა უწყობდეს აქტიურ სწავლას (სწავლას აღმოჩენით, თანამშრომლობით, კვლევით, პრობლემის გადაჭრით) და, შესაბამისად, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას (2,1).

ახალ მასალაზე მუშაობისას ახსნითი მეთოდის უარყოფით ჩვენ (მასწავლებელი, სახელმძღვანელო) ფაქტიურად უარს ვამბობთ: პრობლემის წარმოჩენაზე, მიზეზების განმარტებაზე, შედეგების დაკონკრეტებაზე და შეფასების მიცემაზე. ეს კი ნიშნავს, ახალ მასალაზე მუშაობის იმგვარად წარმართვას (დაგეგმვას), როდესაც მოსწავლეები თვითონ მოახერხებენ ზემოჩამოთვლილი ამოცანების რეალიზებას. მაგალითად, შესაბამის ტექსტსა და წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით მოსწავლეები თავად აგნებენ:

პრობლემას – ყუთლუ–არსლანის დასი საკანონმდებლო ფუნქციით აღჭურვილი კარავის დაარსებას მოითხოვდა;

მიზეზს – მოცემული დროისათვის მეფის ერთპიროვნული ხელისუფლება შეუზღუდველი იყო; ქვეყანაში არ არსებობდა არც ერთი სახელისუფლო ორგანო, რომელსაც მონარქის აბსოლუტური ძალაუფლების ლეგიტიმურად შეზღუდვის უფლება ექნებოდა;

შედეგს – თამარმა სძლია ყუთლუ–არსლანის მომხრეებს, ხელისუფლების დანაწევრების (გადანაწილების) მოთხოვნა არ განხორციელდა, თუმცა სამეფო კარი ერთგვარ დათმობაზე წავიდა – გააფართოვა „სამეფო დარბაზის“ შემადგენლობა და უფლება;

და, რაც მთავარია – მოსწავლეები თავად აფასებენ სამეფო კარისა და „კარვის დასელების“ მოქმედებასა და მიზნებს. დამოუკიდებლად გამოიმუშავებენ და ერთმანეთს აცნობენ საკუთარ პოზიციებს. ამ შემთხვევაში ადგილი აღარ რჩება დამკვიდრებული პრაქტიკისათვის – როდესაც მოსწავლე ისმენს და ღებულობს მასწავლებლის და/ან სახელმძღვანელოს ავტორის მიერ გამოთქმულ შეფასებას (დამოკიდებულებას). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსწავლეს თავს აღარ ვახვევთ ჩვენეულ დამოკიდებულებებს, პირიქით ვუბიძგებთ თავად „იყოს შემოქმედი, შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე“ (2, 2).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახალ მასალაზე მუშაობის დროს ჩვენი (პედაგოგის) მიზანი უნდა იყოს:

I. **მოსწავლეს დავეხმაროთ თავად აღმოაჩინოს ამა თუ იმ მოვლენის მიზეზი (მიზეზები).**

<u>მაგალითი: ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა</u>

პედაგოგი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი ინცინდენტის მიზეზებს ისტორიკოსები არაერთგვაროვნად ხსნიან და რომ ერთიანი აზრის არარსებობა წყაროთა ცნობების სიმწირითაცაა განპირობებული. ამის შემდეგ მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ეცნობიან ისტორიკოსთა მოსაზრებებს:

<u>სიმონ ჯანაშია:</u> „ეპისკოპოსებად ამ დროს უკვე წარჩინებულებს, აზნაურებს ვხედავთ. ამ ეპისკოპოსებს ახლა თავისი მეფე ისევე მოძულებული ჰყავდათ, როგორც მთავრებსა და სხვა დიდ აზნაურებს. ეკლესიას V საუკუნეში უკვე დიდი მამულები ჰქონდა. ამ მამულების გამო ქართლის მეფესა და სამღვდელოებას შორის ისეთივე ბრძოლა გაჩაღდა, როგორიც მეფესა და სხვა დიდ აზნაურებს შორის იყო... ამიტომ დაუახლოვდნენ ერთმანეთს სპარსელები და ქართლის სამღვდელოება. თანდათან ქართლის მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსების უმრავლესობა სპარსეთის მხარეს გადავიდა ისევე, როგორც მეზობელ სომხეთში. სამაგიეროდ სპარსელები თავის მომხრე ეპისკოპოსებს უხვად აჯილდოებდნენ. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ქართლის მთავარეპისკოპოსი ერისთავადაც კი იყო დანიშნული სპარსელების მიერ. ასე დაიწყო ქართლის მთავრებისა და ეპისკოპოსების ბრძოლა სპარსეთთან ხელიხელ ჩაკიდებით ქართლის მეფის წინააღმდეგ“

ივანე ჯავახიშვილი: „ის გარემოება, რომ დაკრულვა და ეკლესიიდან გაძევება (მიქაელისაგან) მეფის გარდა სპასაც ეწია... იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ უთანხმოება მაშინ მარტო მეფის მოქმედების გამო კი არ უნდა იყოს ჩამოვარდნილი, არამედ სპას, ე. ი. მაღალ სამხედრო წრეს და რაინდობასაც ედებოდა ბრალი. მაშასადამე, ვახტანგ გორგასლის გეგმა და მოქმედება მარტო მისი პირადი განზრახვა არ უნდა ყოფილიყო, არამედ, ამ მოწინავე სამხედრო წრისაც. ამგვარად ირკვევა, კათალიკოსობის დაწესებასა და ახალ ეპისკოპოსთა დანიშვნასთან დაკავშირებულ უთანხმოებაში ორ მოპირდაპირე ბანაკთან უნდა გვქონდეს საქმე. ერთი მხრივ ყოფილა ვახტანგი, „სპა“ და პეტრე და სამეელ ეპისკოპოსები, დანარჩენი 12 საეპისკოპოზო პირითურთ, მეორე მხრით, მიქაელ მთავარეპისკოპოზი თავისი თანამოაზრეებითურთ“ (3, 66-67).

ისტორიკოსთა თვალსაზრისების გაცნობის შემდეგ ჯგუფები ასახელებენ მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის დაპირისპირების გამომწვევ სავარაუდო მიზეზებს.

ამ სახით, მოსწავლეები არკვევენ საეკლესიო პირთა ნაწილის სამეფო კართან დაპირისპირების მიზეზებს და მსჯელობენ კონფლიქტის შესაძლო შედეგებზეც. მასწავლებელმა შეიძლება ეს დავალება საკლასო დისკუსიისთვისაც გამოიყენოს. ცალკეულ ჯგუფებს სთხოვოს არგუმენტირებულად შეარჩიონ დაპირისპირების გამომწვევ მიზეზთაგან ერთი, – მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, და დაიცვან საკუთარი პოზიცია.

II. მოსწავლეს დავეხმაროთ მოვლენის შედეგების დადგენასა და მათი მნიშვნელობის გააზრებაში.

მაგალითი: ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შედეგები.

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი კლასს მოკლედ აცნობს მოვლენათა შემდგომ განვითარებას – ვახტანგ გორგასალმა დაძლია მთავარეპისკოპოს მიქაელის წინააღმდეგობა, რასაც ქართლში კათალიკოსობის დაწესება მოჰყვა. ამ შემთხვევაში პედაგოგი მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის მეფის საეკლესიო პოლიტიკის შედეგს, ხოლო ძირითადი საკითხის გარკვევას – თუ რას ნიშნავს ეკლესიის ავტოკეფალია და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას სახელმწიფოსა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის, კვლავ მოსწავლეებს ანდობს. მოსწავლეები ისევ აგრძელებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალაზე (წყაროებზე) მუშაობას და მათ მონაცემებზე დაყრდნობით ასრულებენ შესაბამის დავალებას:

ლაშა ჯანაშია: „კათალიკოსობის დაწესებით ვახტანგი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. პირველ ყოვლისა, ეკლესიის თვითმწყსობა, ცხადია, აძლიერებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, უეჭველია, მეტ გავლენას იძენდა მღვდელმთავარზე, რომლის არჩევაში მეფეს მეტი ხმა ეძლეოდა. დაბოლოს, ვახტანგმა მოიცილა მთავარეპისკოპოსი (მიქაელი), რომელიც, ეტყობა, მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა“.

ნოდარ ლომოური: „შემთხვევითი არ იყო ქართლში სწორედ 12 საეპისკოპოსოს დაარსება: ამიერიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება (საეკლესიო სამართლით საეკლესიო კრება 12 ეპისკოპოსისაგან უნდა შემდგარიყო), რომელიც უფლებამოსილი იყო თავისი შინაგანი საქმეები – ეპისკოპოსთა ხელდასხმა-გადაყენება – თვითვე განეგო... ეს გარემოება ადასტურებს ქართლის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის მიღებას“(3, 67).

დავალება

1. შენი აზრით, რატომ შედგებოდა საეკლესიო კრება 12 ეპისკოპოსისგან?
2. რა უფლებები ჰქონდა საეკლესიო კრებას?
3. როგორ გესმის ეკლესიის „თვითმწყსობის“, დამოუკიდებლობის მნიშვნელობა?
4. შენი აზრით, შეუწყობდა თუ არა ხელს ვახტანგის საეკლესიო ღონისძიებები სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას?

III. მოსაწავლეს გავაცნობიერებინოთ, რომ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვანაირი დამოკიდებულება და შეფასება

მაგალითი: გიორგი IV-ის (ლაშა-გიორგის) პიროვნების შეფასება.

გიორგი IV-ის პიროვნებისა და მეფობის მიმართ დამოკიდებულება დღესაც არაერთგვაროვანია. ამის საფუძველს იძლევა როგორც მისი მეფობის დროს შექმნილი პოლიტი-

კური სირთულეები, ასევე ორი ისტორიკოსის: ლაშასდროინდელი უცნობი მემატიანისა და XIV საუკუნის ჟამთააღმწერლის ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული შეფასებები. ასეთი (ან მსგავსი) შესავლით მასწავლებელი კლასის წინაშე აყენებს ახალ მასალასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას – რამდენად განსხვავდება ამ ისტორიკოსთა შეფასებები ერთმანეთისაგან, ლაშა-გიორგის მეფობის შესახებ უკვე დამუშავებული მასალის მიხედვით რამდენად ობიექტურად ან ტენდენციურად წარმოგიდგებათ გამოთქმული თვალსაზრისები?

პრობლემის დაყენების შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან არსებულ პოზიციებს:

„(თამარმა) დაუტევა მეფობა ძესა თვისსა, ხოლო ქართველთა – მწუხარება, ვაება, გლოვა“ („ჟამთააღმწერელი“).

„ვიტყოდით ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდის“ (ლაშა გიორგის მემატიანე).

„ლაშა-გიორგი იყო ტანითა ძლიერი, მხნედ მოისარი, ნადირობათა შინა მოსწრაფე, ლაღი... ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება“ („ჟამთააღმწერელი“).

„იყვნეს გამგედ და გამზრახად ყოველთა საქმეთა მისთა (ლაშასი) მისისავე მშობლისობითგან მხარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი“ (ლაშა-გიორგის მემატიანე) (4, 244-246).

წყაროების გაცნობის შემდეგ მოსწავლეები:

ა) ადგენენ, რა განსხვავებაა დასახელებულ ისტორიკოსთა შეფასებებში;

ბ) უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავენ გამოთქმული შეფასებებიდან რომელი შეესაბამება ლაშა-გიორგის მეფობას (ან მის პიროვნებას) და ცდილობენ დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია;

გ) გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რას შეეძლო გამოეწვია მეფისადმი ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება. მოსწავლეებმა უკვე იციან, რომ ისტორიკოსის პოზიციაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას, მათ შორის, „მედასეობა“, თანამედროვეობა, მსოფლხმედველობა და სხვ. ამ ცოდნაზე დაყრდნობით მათ შეუძლიათ გარკვეული ახსნა მოუძებნონ უცნობი მემატიანისა და ჟამთააღმწერლისეულ შეფასებებს.

IV. მოსწავლეს დავეხმაროთ მრავალმხრივი შეფასებისა და არასტერეოტიპული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში

<u>მაგალითი: კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის პიროვნების შეფასება.</u>

ქართულ ისტორიოგრაფიაში ლიპარიტ ბაღვაშის მოქმედება ცალსახად უარყოფითად არის შეფასებული. ასეთი ტენდენცია სასკოლო სახელმძღვანელოებშიც სახეზეა. ისტორიკოსთა მხრიდან აქცენტი მხოლოდ ლიპარიტის პოლიტიკურ პოზიციასა და მეფესთან მის დაპირისპირებაზე კეთდება. ლიპარიტის შესახებ თხრობა, როგორც წესი, სრულდება იქ, როდესაც შეპყრობილ ერისთავს მეფე ბერად აღკვეცავს და საქართველოდან გაძევებს. სახელმძღვანელოებში არაფერია ნათქვამი ბერად შემდგარი ლიპარიტის მოღვაწეობის შესახებ. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეს მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება ექმნება ბაღვაშის მიმართ. ისმის კატეგორიული შეფასებებიც: ორგული, მოდალატე, ბიზანტიელთაგან მოსყიდული და სხვა. ჩავატაროთ ექსპერიმენტი და ლიპარიტ ბაღვაშზე მსჯელობა არ შეეწყვიტოთ მისი შეპყრობის ამბით. გავაცნოთ მოსწავლეებს ისიც, **რომ** ბერად აღკვეცილმა ერისთავმა დიდძალი თანხა გაიღო უცხო-ეთში ქართული მონასტრის ასაგებად. ასევე დიდი დახმარება გაუწია ათონის ივერთა მონასტერს, სადაც **კვლავ** განახლდა და გამოცოცხლდა საგანმანათლებლო საქმიანობა. ლიპარიტ ბაღვაში **კონსტანტინოპოლში** გარდაიცვალა. ის, საკუთარი ანდერძის მიხედვით, ჩამოასვენეს **საქართველოში** და საგვარეულო სამარეში, კაცხის მონასტერში დაკრძალეს.

ამის შემდეგ **კვლავ** დაუბრუნდეთ ლიპარიტ ბაღვაშის პიროვნების შეფასების საკითხს. ეკითხოთ **მოსწავლეებს**: ხომ არ შეიცვალა მათი დამოკიდებულება ლიპარიტისადმი? მეფესთან მტრობა **რომ არა**, როგორ ჩაეწერებოდა ის საქართველოს ისტორიაში?

დაბოლოს, **ვთხოვოთ მოსწავლეებს**, გაეცნონ ჩამოთვლილ შეფასებებს (ძლიერი ფეოდალი, ერთგული, **უშიშარი, სამშობლოს** მოყვარული, ქველმოქმედი, ამაყი, სახელოვანი, განათლებული...) და **მიუთითონ, რომელი** მათგანი შეესაბამება ლიპარიტ ბაღვაშს.

ჩვენს მიერ არაერთგზის ჩატარებული ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა შეფასებები აღარ არის ცალმხრივი, ისინი ლიპარიტის მოღვაწეობის უარყოფით მხარეებთან ერთად ასახელებენ მთელ რიგ დადებით თვისებებსაც (ნიჭიერი, ქველმოქმედი, სახელოვანი და სხვ.). ეს მაგალითი, ჩვენი აზრით, იმითაც არის საინტერესო, რომ მოსწავლეები ეჩვევიან ცალკეული პირებისა თუ მოვლენების არა ცალმხრივად აღქმას (გმირი ან მოღალატე, კეთილი ან ბოროტი...), არამედ ახდენენ მათი მოქმედების (თუ მოვლენათა მსვლელობის) დიფერენცირებულ შეფასებას. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს აღსაზრდელებში არასტერეოტიპული აზროვნებისა და დამოკიდებულებების ფორმირებას.

როგორც ვხედავთ, სწავლების ახალი მეთოდური მიდგომები უფრო ნაყოფიერსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. ამცირებს ახსნით მუშაობას და შესაბამისად ზრდის მოსწავლის დამოუკიდებელ სასწავლო-შემეცნებით საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ეროვნული სასწავლო გეგმა“ (2011-2016 წ.წ. რედაქცია). http://www.ncac.ge/.
2. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“. http://www.ncac.ge/.
3. „საქართველოს ისტორია“, IX კლასი, ავტ. ნ. კვიტაიშვილი, დ. მალაზონია, თ. მალაზონია. თბ., 2008.
4. ივანე ჯავახიშვილი, თხს., ტ. VIII. თბ., 1977

დავით მალაზონია, თამარ ფხალაძე

ახალი მასალის გადაცემის სტრატეგიები ისტორიის გაკვეთილზე

რეზიუმე

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, პირველ რიგში, გულისხმობს სწავლების ინტერაქტიური და რეპროდუქციული მეთოდებისა და ხერხების (პრობლემური სწავლების, ძიების, კვლევის, დიალოგის, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის...) ფართოდ გამოყენებას რეპროდუქციული მუშაობის შეკვეცის ხარჯზე. სასწავლო პროცესის ამგვარად დაყენება პროგრამული ცოდნის ღრმად და შეგნებულად დაუფლებასთან ერთად, მოსწავლეებს უვითარებს შემეცნებით ფუნქციებსა და კვლევითი მუშაობის უნარს, ასევე უყალიბებს მათ არასტერეოტიპულ, შემოქმედებით აზროვნებას.

David Malazonia, Tamar Pkhaladze

The Strategies of Transferring New Materials to the History Lesson

Summary

The teaching process focused on student's personality, first of all, foresees a wide use of interactive, productive methods and technique (problem-based learning, searching method, research method, methods of dialogue, discussions, teamwork, presentation...) at the expense of reduction of reproductive academic affairs. Similar arrangement of the teaching process, except of deep and conscious acquirement of knowledge, promotes development of cognitive functions and research skills in students, inculcates the unconventional, creative thinking in students.